ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ოქტომბრის 31.	№ 20 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 230. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური აპარატების რაიონებისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის შესახებ,

„ 231. დემობილიზებული წითელარმიელების სამეურნეო-საბჭოთა სამუშაოზე გამოყენების შესახებ.

„ 232. სოფლის მეურნეობის მაგნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორისა და სასოფლო-სამეურნეო ავია-ბაზისის იმ მომუშავეთა და ხელმძღვანელი შედგენილობის დაპრემირების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი კალის განადგურების ფრონტზე.

„ 233. სასილოსო კამპანიის გარღვეულობის ლიკვიდაციის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 234. სადგომებში დაწესებულებათა მომთავსებელი და ჭ. ტფილისში მყოფ დაწესებულებებთან სამუშაოდ მოსულ მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამომძებნი კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.

„ 235. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა საერთო-საკავშირო და ფედერატიული სამშენებლო ორგანიზაციის მოვალეობის შესახებ—წარუდგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას სამშენებლო კადრების მომზადების გეგმის შესადგენად საჭირო მასალები.

„ 236. „ზურგის ლაშქოსანთა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილებისათვის მე-VII ბუხლის დამატების შესახებ.

„ 237. ელექტრო-სადგურებისა და ელექტრო-ენერგიის მომხმარებლების სავალდებულო სასტატისტიკო ანგარიშგების შესახებ.

„ 238. ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

„ 239. 1931 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

„ 240. ა/კსფსრ-ში საფოსტო მემტრედ ფობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

„ 241. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ამიერკავკასიის ქიმიზაციის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

230. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური აპარატების რაიონებისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის შესახებ.

(ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენების გამო).

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენება—ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური აპარატების რაიონებისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის საქმის მსვლელობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს:

1. 1930 წელს განხორციელებული ოლქების ლიკვიდაცია და რაიონების მოწყობა მოითხოვდა ყველა ცენტრალური ორგანოს დაუყოვნებელ ორგანიზაციულ და მეთოდიურ გარდაქმნას ისე, რომ მას ხელი აეღო რაიონების საერთო ხელმძღვანელობაზე და გადასულიყო ოპერატიულ, კონკრეტულ, ცოცხალ და დიფერენცირებულ ხელმძღვანელობაზე, ადგილებისა და ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლაზე და სარაიონო და სასოფლო ორგანიზაციების მუშაობის საუკეთესო მონაწილეობა გამოიცდილების ერთიერთმანეთისაგან გაზიარებაზე.

2. მაგრამ, მიუხედავად ამიერკავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიისა და საქართველოს ცენტრალური საკანტროლო კომისიის პრეზიდიუმისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიების 1931 წ. თებერვლის 11-ის გაერთიანებული სხდომის ამოწურვისა და გადაწყვეტილებისა „საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატების გარდაქმნის შესახებ რაიონებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით“,—ეს გადაწყვეტილება ა/კსფრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულეების უმეტესობამ არსებითად არ შეასრულა. თუმცა ცალკეული ცენტრალური დაწესებულებები რამდენადმე სტრუქტურულად გადაკეთებულია, მანიც აღნიშნული გადაწყვეტილება მთლიანად რეალიზებული არ არის: სახალხო კომისარიატებისა და უწყებების უდიდეს ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუტარებია მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ორგანიული გარდაქმნა; კერძოდ—დაწესებულებათა მასსები ჩაბმულნი არ არიან ყველა იმ საკითხის განხილვაში, რაც დაკავშირებულია აღნიშნული გარდაქმნის მოთხოვნებთან.

ნამდვილი ორგანიული გარდაქმნის განუხორციელებლობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და აგრეთვე დაწესებულებათა საზოგადოებრიობამ (ადგილობრივმა კომიტეტებმა, ეკონომიურმა კომისიებმა, რაციონალიზაციის უჯრედებმა და სხვ.) გამოიჩინეს ოპორტუნისტული მიდგომა საქმისადმი და სათანადოდ ვერ შეაფასეს ასეთი გარდაქმნის უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნა სწარმოებს ზერელე საქმიანობით, ვიწრო-უწყებისად და კაბინეტურად, ისე, რომ საქმეში ჩაბმული არ არიან დაწესებულებების მომუშავეთა ფართო მასსები; სახალხო კომისარიატები არ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილების შედეგებს, სახელმწიფო აპარატის გარდაქმნაში სისტემატიურ მონაწილეობას არ იღებენ რაიონის მომუშავენი, მხედველობაში მიღებული არ არის მათი საჩივრები და მოთხოვნილებები.

ფედერატული და რესპუბლიკანური პრესსა თითქმის არავითარ ყურადღებას არ უთმობს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის რაიონისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის საკითხებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რამოდენადმე შემცირდა რაიონებში წარმართული მიწერმოწერის ნაკადი, მაგრამ, იმასთანავე, ძალიან ხშირად სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ რაიონებისათვის მიცემული დირექტივები ერთსა და იმავე საკითხზე ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

თუმცა ცენტრის მიერ ადგილებზე გაგზავნილ მომუშავეთა რიცხვი გადიდდა, მაგრამ რაიონებში მომუშავეთა გაგზავნას ხშირად უფრო კამპანური ხასიათი აქვს; ასეთი გაგზავნა შეთანხმებული არ არის ხოლმე ცალკეულ უწყებებსა და სახალხო კომისარიატებს შორის, რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ ზოგიერთ რაიონში თავს იყრის ერთად ცენტრის რამდენიმე მომუშავე, მაშინ, როდესაც სხვა რაიონებში ასეთი მომუშავენი სულაც არ არიან. ამის გარდა, ცენტრის რწმუნებულნი, იმის ნაცვლად, რომ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ადგილობრივ მომუშავეებს მასსური მუშაობის ორგანიზაციის საქმეში, თვით ეწევიან მათ მაგიერობას.

ზოგიერთი ცენტრალური, როგორც ამიერკავკასიისა, ისე რესპუბლიკანური, ორგანიზაცია და დაწესებულება სათანადოდ არ აფასებს თავის მოვალეობას რაიონებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევისა, ადგილობრივი გამოცდილების შესწავლის და განზოგადოებისა და მუშაობის საუკეთესო ნიმუშების ფართოდ გამოყენების სფეროში. იმავე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ყოველდღიური და ორგანიული კავშირი არ აქვთ რაიონებთან.

მეტის-მეტად თვალსაჩინოდ გამოირკვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ რაიონებისადმი თავიანთი მოვალეობის შეუფასებლობის ფაქტი სასოფლო საბჭოების დათვალიერების დროს.

იმისდამიუხედავად, რომ ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დირექტივები გასცა—სასოფლო საბჭოების დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობა მიეღოთ ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატებს („ზარია ვოსტოკა"-ს 1931 წ. აგვისტოს 18-სა და სექტემბრის 14-ის ნომრები), არც ერთი ფედერატიული და რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატი და ორგანიზაცია აქამდე არ ჩაბმულა არსებითად ამ დათვალიერებაში, არც ერთ მათგანს არ გამოუყენებია დათვალიერება ქვედა, მასსურ, უფრო მნიშვნელოვან რგოლეულებში თავისი მუშაობის დარგთა მდგომარეობის შესასწავლად, არც ერთი მათგანი არ დახმარებია ამ რგოლეულებს მათი მუშაობის გარდაქმნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მხრით, ცენტრალური და რესპუბლიკანური აპარატების გარდაქმნის საქმეში მათ არ ჩაბეს რაიონების მომუშავენი.

იმისდამიუხედავად, რომ ა/კსფრს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა თებერვლის 11-ს და შემდგომ სხვა სადირექტივო ორგანოებმა გასცეს დირექტივები—ა/კსფრს-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების აპარატების ძირითადი ეროვნული ელემენტებით გაძლიერების შესახებ,—შემოწმებამ გამოამჟღავნა დიდი ნაკლოვანებანი აპარატის ძირითადი ელემენტებით გაძლიერების თაობაზე გაცემული პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელების საქმეში; კერძოდ—ძალიან დაქვეითებულია სახელმწიფო აპარატში თურქთა კადრების ჩაბმის საქმე.

აღნიშნავს-რა ზემოდ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

1. დადასტურებულ იქნეს ხელმეორედ ა/კსფრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული, 1931 წ. თებერვლის 11-ის, გადაწყვეტილება.

2. ხელმძღვანელი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების რაიონებისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნა მიჩნეულ იქნეს სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელთა დი მომუშავეთა მასსების უაღრეს პოლიტიკურ ამოცანად. რათა მოხდეს გადამწყვეტი გარდატეხა აპარატების რაიონიხაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის საქმეში და ეს გარდაქმნა სწარმოებდეს სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დათვალიერების შედეგთა ანგარიშში მიღებით,—ჩატარებულ იქნეს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებების მუშაობის მასსური დათვალიერება—მათი რაიონებისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის თვალსაზრისით, თანაც ა/კსფრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების შემოწმების საფუძველზე. ამ დათვალიერებაში ჩაბმულ უნდა იქნენ რაიონების მომუშავენი. ხელმძღვანელობა დაეკისროს ა/კსფრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას.

3. ამასთან ერთად, ა/კსფრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება, მიიღებენ-რა სახელმძღვანელოდ სსრკ-ის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ბლენუმის გადაწყვეტილებას, მიაქცევენ უახლოეს კვარტალში მთავარ ყურადღებას მომარაგების სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საკოლეურნეო ცენტრის სისტემის მუშაობის გარდაქმნას და ჩაბამენ ამ მუშაობაში ამიერკავკასიის საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს.

4. ა/კსფრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა სახალხო კომისარიატი და დაწესებულება დაუყოვნებლივ გააბამს კავშირს რაიონებთან—სასოფლო საბჭოების დათვალიერების მასალების შესაკრეფად და შესასწავლად თავისი მუშაობის დარგების ხაზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს და დაწესებულებას, როგორც ფედერატიულს, ისე რესპუბლიკანურს, შეიმუშაოს, დათვალიერების მასალების საფუძველზე, ინსტრუქცია—სასოფლო საბჭოების სექციებისა და ბრიგადების მეშვეობით—მასსაური მუშაობის მოწყობის შესახებ სოფლად მუშაობის ცალკეული დარგების მიხედვით, რისთვისაც სისტემატიურად უნდა ჩაატაროს ხოლმე ცალკეული სექციებისა, ჯგუფებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების რესპუბლიკანური და საამიერკავკასიო კონკურსები და მოიწვიოს თავიის სისტემის დათვალიერების დამთავრებამდე საუკეთესო სექციების ხელმძღვანელთა თათბირი.

6. დროს შესაბამისად იქნეს ცნობილი სახალხო კომისარიატებისა და დაწესებულებების ცალკეულ რაიონებზე მიმაგრების სისტემის შეცვლა იმ მხრით, რომ მოხდეს ამ სისტემაში არსებული გაუპიროვნების ლიკვიდაცია; თანაც მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი თვითეული სახალხო კომისარიატის და დაწესებულების მხოლოდ ერთ რაიონზე მიმაგრება—რაიონების მუშაობის უფრო ღრმად შესწავლისა და მათში სამაგალითო მუშაობის დამყარებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებთან ერთად, ორი დეკადის ვადაზე უნდა დაამუშაოს აღნიშნული საკითხი და წარმოუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს სათანადო დადგენილების პროექტი.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიისა და ყველა იმ რესპუბლიკანურ ორგანოს, რომელსაც აქვს კურსები მომუშავეთა მომზადებისათვის (ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სახელმწიფო ბანკის ა/კ. კონტორას, შრომის სახალხო კომისარიატს და სხვ.) მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ამიერკავკასიის ძირითად ეროვნებათაგან მომუშავეთა შერჩევას და მომზადების თვისებას.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კადრების განყოფილებას შეისწავლოს ორი დეკადის ვადაზე რაიონებისათვის კადრების მომზადებისა და გარდამზადების საქმის მდგომარეობა რიცხვობრივი და თვისებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით და წარმოუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ამ საქმის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა პროექტი.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მოისმინონ რესპუბლიკანური მუშათა და გლეხთა ინსპექციების სახალხო კომისარიატების მოხსენებანი რესპუბლიკანური აპარატის გარდაქმნის მდგომარეობის შესახებ ამ აპარატის რაიონებისაკენ პირის მიქცევით გარდაქმნის თვალსაზრისით.

10. მიეცდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური სახალხო კომისარიატების და დაწესებულებების დათვალიერების (ამა დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მე-2 მუხ.) დამთავრებისას, წარმოუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დათვალიერების შედეგების შესახებ ცალკეული უწყებებისა და ორგანიზაციების მოხსენებათა მოსმენის საკალენდრო გეგმა, თანაც ამ საკითხების განხილვაში ცალკეული საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა ჩაბმით.

11. მუშაობის გარდაქმნის გამოცდილებისა და რაიონსა და ქალაქში წარმოებული მასსური საბჭოთა მუშაობის განზოგადოების მიზნით და ამ მუშაობისათვის სისტემატიური ხელმძღვანელობის გასაწევად—საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან გამოიცეს საბჭოთა მშენებლობის სპეციალური მასსური ჟურნალი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 31
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

231. დემობილიზებული წითელარმიელების სამეურნეო და საბჭოთა სამუშაოზე გამოყენების შესახებ.

სექტემბრის 25-ს იწყება კავკასიის წითელდროშიანი არმიის მამაც მებრძოლთა სახლში დაბრუნება მიმდინარე წელს მათი დემობილიზაციის გამო.

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სკოლა-გავლილნი, საუკეთესო ბოლშევიკურ ტრადიციებში აღზრდილნი მებრძოლნი ბრუნდებიან ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში არადასასვენებლად სამხედრო მომზადებისა და სწავლის შემდეგ, არამედ რათა განაგრძონ ენერგიული ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობისათვის სამშვიდობო პირობებში და ჩვენი ქვეყნის ზურგისა და დაცვის უნარის განმტკიცებისათვის.

სახლში დაბრუნებულ დემობილიზებულ წითელარმიელთა სახით სოფელი შეიძენს ახალ დამხმარე მებრძოლ ძალას, მომზადებულ მეომართ, რომელნიც უნდა გახდნენ მოწინავე დამკვრელებად საკოლმეურნეო მშენებლობისა, სასოფლო საბჭოების განმტკიცებისა და გარდაქმნის საქმეში.

წითელი არმიის დისციპლინისა, ულმობელი თვითკრიტიკისა, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ტრადიციები მოაქვს თან ამ ახალ დამხმარე ძალას ჩვენი საზღვრების დაცვის ფრონტიდან ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, სოფლის სოციალისტურ საფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველზე გარდაქმნის ფრონტზე, ამიერკავკასიის საკოლმეურნეო მშენებლობის სწრაფი ზრდისა და განმტკიცების ფრონტზე.

მოდიან დამკვრელ-ტრაქტორისტებისა, საკოლმეურნეო მშენებლობისა და სოფლად საბჭოთა მუშაობის კვალიფიციური მუშა-ენტუზიასტების ახალი რაზმები.

დემობილიზებული მებრძოლნი, რომელთაც უკანასკნელ მანევრებზე ბრწყინვალედ დაამტკიცეს თავიანთი წარჩინებული სამხედრო და პოლიტიკური მომზადება, თავიანთი მზადყოფნა და უნარი იბრძოლონ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, აღგზნებულნი არიან სურვილით მოახმარონ თავიანთი ძალა და კავკასიის გმირულ წითელდროშიან არმიაში შეძენილი ცოდნა კოლექტივიზაციის დამაყრებას, სოფლის სამეურნეო მშენებლობის განმტკიცებას და სასოფლო საბჭოების, როგორც სოფლად პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელთა, განმტკიცებას.

ვინაიდან უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემობილიზებულ წითელარმიელთა ნაკადის შერევას საწარმოში, კოლექტიურ მეურნეობაში და სოფლში მომუშავეთა კადრების გასაძლიერებლად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აკსუსერ ტრაქტორცენტრმა და რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებმა უნდა უზრუნველჰყონ დემობილიზებულ წითელარმიელ-ტრაქტორისტების რაც შეიძლება უკეთესად გამოყენება.

2. შრომის სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ წარმოებაში წარგზავნილ დემობილიზებულთა საუკეთესო გამოყენება სათანადო კვალიფიკაციის მიხედვით. ქარხნების დირექციებმა, საქარხნო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა მოიწვიონ დემობილიზებულთა სპეციალური თათბირები და წარუდგინონ მათ მოხსენებები სათანადო საწარმოთა და მრეწველობის სათანადო დარგთა მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ; ანგრეთვე უზრუნველჰყონ დემობილიზებულთათვის ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

3. ყველა სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა მოიწვიოს დემობილიზებულთა სარაიონო თათბირი, რომელსაც არა მარტო სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა, არამედ ანგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო საბჭომ და რაიონის სხვა კოოპერატიულმა და სამეურნეო შენაერთმა უნდა წარუდგინოს საანგარიშო მოხსენება. ასეთ თათბირზე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დემობილიზებულთა გამოყენება მუშაობის სათანადო დარგებში.

4. ანალოგიური კრებები მოწვეულ უნდა იქნეს სოფლებში და ამ საკითხს უნდა დაეთმოს სასოფლო საბჭოების სპეციალური პლენუმები.

5. რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა სასწრაფოდ უნდა შეიმუშაონ პროგრამები სპეციალიზებული მოკლევადიანი (თვიური) კურსებისა დემობილიზებულთათვის და უზრუნველჰყონ ეს კურსები კვალიფიციური ხელმძღვანელებით; კურსები უნდა შეიქმნას უშუალოდ თვით რაიონებში ან რაიონთა ჯგუფებში. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა უზრუნველჰყონ ეს კურსები საჭირო სახსარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სასოფლო საბჭოების დამთვალიერებელმა ყველა სარაიონო და სასოფლო კომისიამ ფართოდ უნდა გამოიყენოს დემობილიზებული წითელარმიელნი დამთვალიერებელ ბრიგადებში და დათვალიერების დროს შემოსულ მინიშნებათა პრაქტიკულად განმახორციელებელ ბრიგადებში მონაწილეობის მიღებინებით.

7. ყველა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, სახალხო კომისარიატმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა წარუდგენოს ნოემბრის 15-თვის ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტს ამი დადგენილების პრაქტიკული რეალიზაციის ანგარიში, ხოლო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიამ უნდა მოისმინოს ნოემბრის 25-ს მოხსენება—საკოლმეურნეო და საბჭოთა მშენებლობაში დემობილიზებულთა ჩაბმის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმ. **ა. გიორგაძე.**

1931 წ. სექტემბრის 23.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 263 №-ში 1931 წ. სექტემბრის 24-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

232. სოფლის მეურნეობის მაგნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორისა და სასოფლო-სამეურნეო ავია-ბაზისის იმ მომუშავეთა და ხელმძღვანელი შედგენილობის დაპრემირების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი კალიის განადგურების ფრონტზე.

იღებს-რა მხედველობაში, რომ კალიის განმანადგურებელი მასსური მუშაობა წარმატებით იქნა ჩატარებული, ე. ი., რომ გეგმა გარდამეტებით იქნა შესრულებული, მოსავალი სავსებით დაცული, მუშაობაში გამოაშკარავდა ბოლშევიკური ტემპები, მოიწყო სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ხოლო ყველა ამან კი უზრუნველჰყო თვალსაჩინო შედეგები კალიის განადგურების ფრონტზე,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. გამოეცხადოს მადლობა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორისა და სასოფლო-სამეურნეო აეია-ბაზისის მთელ ხელმძღვანელ შედგენილობას და მომუშავეთ.

II. დაპრემირებულ იქნენ ქვემოდ დასახელებული ამხანაგები, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი კალიის განადგურების ფრონტზე:

ივანე კონსტანტინის ძე ჟ ღ ე ნ ტ ი—სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის მმართველი—ს ა ა თ ი თ.

გრიგოლ ალექსანდრეს ძე დ ა ვ ი დ ო ვ ი—სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის მმართველის მოადგილე და ამ კონტორასთან არსებული აეია-ბაზისის უფროსი—ს ა ა თ ი თ.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა თ ა ნ ხ ნ ს ფ უ ლ ა დ ი პ რ ე მ ი ი თ: ივან ვლადიმირის-ძე ს ა ზ ო ნ ო ვ ი—ჰაერო-ქიმიურ გამოყენებათა ხელმძღვანელი, ე მ ი ნ ბ ე ი ლ ი—ენტომოლოგი—სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის აზერბაიჯანის განყოფილების პასუხისმგებელი აღმასრულებელი, ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი—საექსპლოატაციო მომარაგების უფროსი, რომელიც დაიღუპა თვითმფრინავის ავარიის დროს, ს ა ჩ ე ლ ი ძ ე—სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის წარმომადგენელი სპარსეთში, გ. შ ა მ შ ე ვ ი—უფროსი მექანიკოსი.

მ ფ რ ი ნ ა ვ ნ ი და პ ი ლ ო ტ ნ ი: კ უ ზ ნ ე ც ო ვ ი, ი ა ს ტ რ ე ბ ო ვ ი, ზ ა გ ო რ ო დ კ ო, ი. ი. ე გ ო რ ო ვ ი, მ. დ. ა რ ტ ა მ ო ნ ო ვ ი და ვ. ვ. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი.

ე ნ ტ ი მ ო ლ ო გ ე ბ ი: დ ი მ ი ტ რ ი კ უ შ ა კ ი, მ ი ხ ე ი ლ ვ ა კ უ ლ ი ნ ი და კ უ პ ე რ მ ა ნ ი.

ბ უ ღ ა ლ ტ ე რ ი—ყარაჭალას საბჭოთა მეურნეობის ექიმი.

ივანე ხ ა რ ი ტ ო ნ ო ვ ი—მეღანის რგოლეულის სტუდენტი-ტეხნიკოსი.

შ ო ფ ე რ ე ბ ი: ს ა რ ი ბ ე გ ო ვ ი და ღ ა რ ი ბ ო ვ ი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 20.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 299 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

233. სასილოსო კამპანიის გარღვეულობის ლიკვიდაციის შესახებ.

მოისმინა-რა მიწათმოქმედების სახალხო კომ-ტის მეცხოველეობის სექტორის გამგის ამხ. ყულიევის მოხსენება სასილოსო კამპანიის მდგომარეობისა და მსვლელობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის უდიდესი მნიშვნელობისა სასაკვებო პრობლემის გადასაწყვეტად, საადგილმამულო ორგანოებმა ადგილებზე, საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებებმა და საკოლმეურნეო-კოოპერატიულმა სისტემამ გამოიჩინეს ოპორტუნისტული შეუფასებლობა სასილოსო კამპანიის მნიშვნელობისა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებმა მიანებეს კამპანია თვითდენას, არ მოაგვარეს ოპერატიული ხელმძღვანელობა და დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის გეგმების აღსრულების თვის დროზე აღნუსხვა.

საადგილმამულო ორგანოებმა არ იხმარეს ნამდვილი ღონისძიებანი გარეული მცენარეულობის მოგროვებისა და დასილოსებისათვის.

ა/კ. სახ.-სამ. სამშენებლო ტრესტმა არ იხმარა პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა ნამდვილად უზრუნველეყო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მინიშნებათა აღსრულება—ივლისის 15-თვის სასილოსო მშენებლობის გეგმის 40%-ის შესრულებისა და ამ ვადისათვის ტიპური სასილოსო მშენებლობის გეგმის შემუშაევების შესახებ იმ რაიონებისათვის, სადაც ორმოების და თხრილების შენება შეუძლებელია.

„სოიუზხლებ"-მა არ შეასრულა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის დადგენილებანი—სილოსისათვის სამინდის თესლის თვის დროზე და სავსებით მომარაგების შესახებ.

შედეგად ასეთი ოპორტუნისტული უპასუხისმგებლო მოპყრობისა სასილოსო კამპანიისადმი იმ ორგანოების მხრით, რომელნიც უშუალოდ მოვალენი იყვნენ ოპერატიული ხელმძღვანელობა გაეწიათ კამპანიისათვის, ა/კსფსრ-ში წასილოსო მშენებლობისა და დასილოსების გეგმა ფაქტიურად ჩაიშალა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების ჩამორჩენას აზერბაიჯანის სსრ-ში, სადაც უკანასკნელ თვეში არაგვთარი ცვლილება არ მომხდარა. 1931 წ. ოქტომბრის 20-თვის სასილოსო მშენებლობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 9,2%-ით, ხოლო სასილოსო მასსა ჩაყრილია სულ 8,7%-ით; საქართველოში იმავე ვადისთვის სასილოსო მშენებლობის გეგმა შესრულებულია 30%-ით, ხოლო მასსა ჩაყრილია სულ 10%-ით; სომხეთის სსრ-ში იმავე ვადისთვის სასილოსო მშენებლობის გეგმა შესრულებულია 54,5%-ით, ხოლო მასსა ჩაყრილია 45,5%-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების საქმის ასეთ საშიშ მდგომარეობასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღგენს:

I. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების შეცნოველობის განყოფილებათა ხელმძღვანელთ უმოქმედობისა და სასილოსო კამპანიის თავის დროზე ჩასატარებლად მუშაობის მოწყობის უუნარობისათვის.

II. აღინიშნოს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობის საგულებლად სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა საკოლმეურნეო სექტორში სასილოსო კამპანიისათვის და გამოეცხადოს საყვედური ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრების თავმჯდომარეთ კოლექტიურ მეურნეობებში სასილოსო კამპანიის არადამაკმაყოფილებლად მსელელობისათვის.

III. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური „სვინოვოე"-ის ა/კ. განყოფილების მმართველს ამბ. იორამაშვილს და „სკოტოვოდ"-ის ა/კ. განყოფილების მმართველს ამბ. რუდაკოვს თვითნებისად დასილოსების გეგმის შემცირებისათვის და სასილისო მუშაობისათვის პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაუწევლობისათვის.

სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების გარღვეულობათა სასწრაფო ლიკვიდაციის მიზნით:

1. ყველა სასილოსო შტაბი, როგორც თავისი ამოცანების არშემსრულებელი, დაშლილ იქნეს.

2. მოეწყოს სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების გარღვეულობათა ლიკვიდირებელი ამიერკავკასიის საგანგებო სამეფული ამხანაგთ ფარაჯ-ზადეს, ოჰანესიანისა და პროკოფიევსკის შედგენილობით; დაეკალოს ამ სამეფულ ოპერატიული ხელმძღვანელობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დასახმარად მათი მუშაობის გეგმების განხილვა და დამტკიცება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის გარღვეულობათა ლიკვიდაციის ნსელელობის შესახებ საყოველდეკადო ჯუმლების წარდგენა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გაძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა გარღვეულობათა ლიკვიდაციისათვის—საყოველდეკადო ანგარიშების მოსმენით ამ ლიკვიდაციის მსელელობის შესახებ; მოაწყონ საგანგებო რესპუბლიკანური სამეფული სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების გარღვეულობათა ლიკვიდაციისათვის და დააკისრონ ამ სამეფულს:

ა) ოპერატიული ხელმძღვანელობა და იმ რაიონებისათვის დახმარების გაწევა, რომლებიც განსაკუთრებით ჩამორჩენილ არიან;

ბ) რაიონებში გარღვეულობათა ლიკვიდაციის საკონტროლო ციფრების შედგენა და რაიონების გეგმების დამტკიცება.

4. ყველა სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტმა, თავმჯდომარეების პასუხისმგებლობით, უნდა დაარსონ საგანგებო სამეფულები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სარაიონო საადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულო განყოფილების გამგისა და სარაიონო საკოლმეურნეო საბჭოს თავმჯდომარის მონაწილეობით და საქმეში რაიონის აგრონომის ჩაბმით. მთელი პასუხისმგებლობა გარღვეულობათა თავის დროზე ლიკვიდაციისა და დასილოსების გეგმის მთლად შესრულებისათვის დაეკისროს ამ სამეულებს.

სარაიონო საგანგებო სამეულებმა, რომელთაც არ უნდა შეასუტონ საქმიანობა დაწყებული სასილოსო გოდოლებისა და ნახევარგოდოლების მშენებლობის სასწრაფოდ დამთავრებისათვის, უნდა მიაქციონ ამავე დროს თავიანთი უმთავრესი ყურადღება ძირითად რგოლეულს, რაც უზრუნველჰყოფს მშენებლობის გარღვეულობათა ლაკვიდაციას, —პრიმიტიული ორმოებისა და თხრილების ამოთხრის დაჩქარებას და მებოსტნეობის და მებაღეობის ნარჩომთა 100%-ით დასილოსებას, რისთვისაც სასწრაფოდ შემუშავებულ უნდა იქნეს მუშაობის სათანადო გეგმა რაიონისათვის.

შენება-დაწყებული გოდოლებისა და ნახევარგოდოლების დამთავრებისათვის სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა იხმარონ ყოველი ღონისძიება რათა საჭირო საშენი მასალა მობილიზებულ იქნეს შინაგანი რესსურსებისაგან.

წინადადება მიეცეს ყველა სარაიონო სამეულს დაუყოვნებლივ მოიაროს ყველა სოფელი და ინსტრუქტირება გაუწიოს ადგილებს დასილოსებისა და ორმოების და თხრილების ამოღებისათვის საჭირო ღონისძიებათა სფეროში.

სარაიონო საგანგებო სამეულების ამოცანა შეიცავს სისტემატიური კონტროლის გაწევას ორმოებისა და თხრილების ამოღებისა და სასილოსო მასსის ჩაყრის მსვლელობისათვის, აგრეთვე ზემდგომი საგანგებო სამეულებისათვის ინფორმაციის მიწოდებას თვითეულ ხუთ დღეში ერთხელ.

სარაიონო საგანგებო სამეულების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ჩამორჩენილ სასოფლო საბჭოებისათვის დახმარების მოწყობა იმ უახლოესი სასოფლო საბჭოების შედგენილობაში შეჰავალი მოსახლეობის ძალთა საქმეში ჩაბმით, რომელთაც დაამთავრეს თავიანთი სამუშაო; ამასთანავე ეს ჩაბმა განხორციელებულ უნდა იქნეს ფართო აღსნა-განმარტებისა, სოციალისტური შეჯიბრებისა და საზოგადოებრივი ბუქსირის მოწყობის საფუძველზე.

5. ყველა სასოფლო საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს ესე დადგენილება და სასილოსო კამპანიის მდგომარეობა თვითეულ დასახლებულ პუნქტსა და კოლექტიურ მეურნეობაში. შეჩნეულ გარღვეულობათა ლიკვიდაციისათვის ყველა კოლექტიურ მეურნეობასა და დასახლებულ პუნქტში მოწყობილ უნდა იქნეს, მოსახლეობის ფართო მასსების მონაწილეობით, ოპერატიული ბრიგადები შემდეგი საკითხებისათვის:

ა) დაწყებული გოდოლებისა და ნახევარგოდოლების მშენებლობის დამთავრებისა და იმ ბეღლებისა და ბოსტნეულსაცავების გამოყენებისათვის, რაც მიმდინარე წელს არ მოიხმარება პირდაპირი დანიშნულებისამებრ;

ბ) ორმოებისა და თხრილების ამოღებისათვის;

გ) სასილოსო მასსის დამზადებისათვის.

ამ ბრიგადებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისრება სასოფლო საგანგებო სამეულს შემდეგი შედგენილობით: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე და კომკავშირის უჯრედის მდივანი. სამეულის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ უბნის ან რაიონის აგრონომები.

სასოფლო სამეული მოვალეა მოაწყოს მასსური დახმარების გაწევა ჩამორჩენილი კოლექტიური მეურნეობისა და დასახლებული პუნქტებისათვის მასსური შაბათობის და ბუქსირების გამართვით.

6. დაევალოს ყველა საგანგებო სამეულს, სასოფლო საბჭოს სამეულიდან დაწყებული, ვიდრე ამიერკავკასიის სამეულამდე, თავის დროზე მიაწოდოს ზემდგომ სამეულებს ინფორმაცია გარღვეულობათა ლიკვიდაციის მსვლელობის შესახებ შემდეგი ფორმის დეკეშების გაგზავნით:

ა) დაწყებული გოდოლებისა და ნახევარგოდოლების რიცხვი;

ბ) შენება-დამთავრებული გოდოლებისა და ნახევარგოდოლების რიცხვი;

გ) ორმოებისა და თხრილების ამოღებისათვის დასახული გეგმა და ამ გეგმის შესრულების პროცენტი კუბომეტრობით;

დ) დასილოსებისათვის გამოსაყენებელი ბეღლებისა და ბოსტნეულ-საცავების რიცხვი და ოდენობა კუბომეტრობით;

ე) დასასილოსებელი მასსის გეგმა და ამ გეგმის შესრულება ტონნობით.

7. დაევალოს პერიოდულ პრესსას, როგორც ფედერატიულსა, ისე რესპუბლიკანურს და რაიონულს, გააძლიეროს დასილოსების საკითხების გაშუქება და რეგულიარულად ათავსოს გარღვეულობათა ლიკვიდაციის მსვლელობის ოპერატიული ჯუნტები.

8. მიეკცეს რადიოცენტრის ყურადღება იმ გარემოებას, რომ მეტის-მეტად სუსტად არის გაშუქებული დასილოსების საკითხები რადიო-გაზეთებში და წინადადება მიეცეს მას—დაუყოვნებლივ გაძლიეროს საამისო მუშაობა.

9. სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების კამპანიის გარღვეულობათა ლიკვიდაციისათვის საჭირო მთელი მუშაობა წარმოებულ უნდა იქნეს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე.

საუკეთესო კოლექტიური მეურნეობებისა, სასოფლო საბჭოებისა და რაიონების საქმიანობის წასახალისებლად გამოყოფილ იქნეს შემდეგი პრემიები:

ა) იმ რაიონებისათვის, რომლებიც ა/წ. ნოემბრის 15-თვის მოახდენენ გარღვეულობის სრულ ლიკვიდაციას,—15.000 მან.;

ბ) იმ რაიონებისათვის, რომლებიც მოახდენენ ლიკვიდაციას ა/წ. ნოემბრის 20-თვის,—5.000 მანეთი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ოქტომბრის 28.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

234. **სადგომებში დაწესებულებათა მომთავსებელი და ქ. ტფილისში მყოფ დაწესებულებებთან სამუშად მოსულ მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამომძებნი კომისიის ლიკვიდაციის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნეს სადგომებში დაწესებულებათა მომთავსებელი და ქ. ტფილისში მყოფ დაწესებულებებთან სამუშაოდ მოსულ მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამომძებნი კომისია (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 84).

2. აღნიშნული კომისიის ყველა ფუნქცია გადაეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. სექტემბრის 26.
№ 421.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

235. **ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა საერთო-საკავშირო და ფედერატიული სამშენებლო ორგანიზაციის მოვალეობის შესახებ—წარუდგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიას სამშენებლო კადრების მომზადების გეგმის შესადგენად საჭირო მასალები.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაევალოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საერთო-საკავშირო და ფედერატიულ სამშენებლო ორგანიზაციას—წარუდგინოს ხოლმე უშუალოდ

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასა და სამშენებლო კადრების კოორდინირებული გეგმის შესადგენად საჭირო მასალები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 7.
№ 419.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

236. „ზურგის ლაშქროსანთა თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილებისათვის მე-VII მუხ. დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 11-ის დადგენილებას „ზურგის ლაშქროსანთა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 187) დაემატოს მე-VII მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„VII. ზურგის ლაშქროსანთა სამუშაო ადგილას გადაგზავნისათვის საჭირო ხარჯები უნდა გაიღონ იმ სამეურნეო შენაერთებმა, რომელთა განკარგულებაშიაც წარიმართებიან შედგენილი კომანდები".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 11.
№ 420.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

237. ელექტრო-სადგურებისა და ელექტრო-ენერგიის მომხმარებლების სავალდებულო სასტატისტიკო ანგარიშგების შესახებ.

ა/კსფსრ ელექტრო-ბალანსის ზედმიწევნით გამორკვევისა და ელექტრო-წარმოებისა და ელექტრო-მიწოდების მთელი ანგარიშგების ენერგოკანტრის ამერიკაკავკასიის სარაიონო სამმართველოში თავმოყრისა‌თვის—ა/კსფსრ სახალხო კომისარ‌თა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე, ყველა საერთო სარგებლობის ელექტრო-სადგურს, ვის გამგეობ‌ებ‌ბ‌ა‌ზ‌ეა‌ც‌ა‌ ‌ა‌ნ‌გ‌ა‌რ‌ი‌შ‌ გ‌ა‌ ‌ა‌ ‌ ‌

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

238. ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ თუმცა ხეტყის დამზადებას, გამოზიდვას და წყლით ჩამოტივტივებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საეკსპორტო გეგმის შესრულებისათვის, ქაღალდის მრეწველობისათვის, კაპიტალური მშენებლობისათვის, ტრანსპორტის მომარაგებისათვის და, ნამეტნავად, სამრეწველო ცენტრების გადიდებული მოთხოვნილების, როგორც სათბობისა, შეშით, დაკმაყოფილებისათვის,—მაინც სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს.

შეშა-ხეტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივების გაძლიერების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების სახალხო კომისართა საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს (განსაკუთრებით ზემო-სვანეთისა, წალენჯიხისა, ჩხოროწყუისა, ზუგდიდისა, ხარაგოულისა, სენაკისა, ამბროლაურისა, ქუთაისისა, ონისა, ლეჩხუმისა, ტყვილისა, თელავისა, გურჯაანისა, ბელოკანისა, თაფხისა, ოჯეფანისა და ლენქორანის) სულ მოკლე ხანში მოახერხონ, რომ შეშა-ხეტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და ჩამოტივტივების საქმის მსვლელობაში მოხდეს ძირითადი გარდატეხა.

2. ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტისათვის მუშა-ძალისა და ეპპანზიიდის საშეალებათა მოგროვების მე-IV კვარტალის გეგმა დამტკიცებულ იქნეს (დართულია 554—555 გვერდებზე).

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იმპარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი სატყეო-სამრეწველო მეურნეობების მუშა ძალით უზრუნველყოფისათვის—ამ ძალის მოგროვების გეგმის შესაბამისად—და განახორციელონ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის 5-ის დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი. გეგმაში აღნიშნული რაიონების სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, უეკველად უნდა მოახერხონ მოგროვების გეგმის შესრულება.

4. ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა, ა/კ. სატყეო სარაიონო სამმართველომ, საქართველოს სსრ საკურორტო სამმართველომ, სარეწაო კოოპერაციამ და სხვა დამმზადებელმა ორგანიზაციებმა:

ა) უნდა გამოჰყონ ნატურფონდი ტყის პროდუქციით კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა დასაპრემირებლად მათი საკუთარი საჭიროებისათვის—სამუშაო ხელფასის 5%-ის რაოდენობით;

ბ) უნდა გაუწიონ კოლექტიურ მეურნეობებს დახმარება—სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა განსაკუთრებული დაძაბულობის პერიოდში სატყეო-სამრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველო მეურნეობების თავისუფალი ურმებისა და სხვა ტეხნიკურ საშუალებათა დათმობით;

ე) უნდა უზრუნველჰყონ 1931-32 სასწავლო წელიწადში სატყეო ტეხნიკუმებსა და სატყეო სამრეწველო-სამეურნეო სასწავლებლებში არა ნაკლებ, ვიდრე იმ კოლექტიურ მეურნეობათა 70 წ�მიღება, რომელთაც გარე-სამუშაოზე გასვლის ხელშეკრულება დასდეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობებთან; თანაც ისინი უნდა უზრუნველჰყონ სათანადო სტიპენდიებით;

ვ) უნდა მოაბერხონ, პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 1-სა, მუშობის ბრიგადული მეთოდებით ტყის მჭრელთა 75%-ის მოცვა;

ე) უნდა გამოჰყონ ფონდი იმ სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა დირექტორებისა და ტეხნიკური ხელმძღვანელების დასაპრემირებლად ორი თვის სამუშაო ხელფასის რაოდენობით, რომელთაც შეასრულეს 1932 წ. იანვრის 1-თვის ბრიგადული მეთოდებით ტყის მჭრელთა 75%-ის მოცვის დავალება.

5. განთავისუფლებულ იქნენ გარე-სამუშაოზე გასული კოლმეურნენი საოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, რაც მეურნეობის არაგანსაზოგადოებულ ნაწილზე მოდის, ამ ნაწილში იმ საშვავრის ჩათვლით, რასაც ისინი მიიღებენ ხეტყის დამზადებაზე, გამოტანაზე და წყლით ჩამოტივტივებაზე, გარე-სამუშაოზე გასვლის შესახებ 1931 წ. ივნისის 30-ს გამოცემული კანონის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 42 №-ი, მუხ. 286), და აგრეთვე განთავისუფლებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან იმ კოლმეურნეთა საშვავრი ხეტყის დამზადებაზე, გამოტანაზე და წყლით ჩამოტივტივებაზე, რომელნიც არ იქნებიან გასულნი გარე-სამუშაოდ.

6. იმ ინდივიდუალურ მეურნეთა საშვავრი ხეტყის დამზადებაზე, გამოტანაზე და ჩამოტივტივებაზე, რომელნიც შეასრულებენ და გადამეტებით შეასრულებენ ხეტყის დამზადებისა და გამოტანის დავალებებს, განთავისუფლებულ იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან.

7. ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა უნდა შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე კონკრეტული ღონისძიებანი შრომის წამახალისებელი სასყიდლის სისტემის შემოღებისა (პროგრესიული ნაჭრობითობა), საბინაო პირობების გაუმჯობესებისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაძლიერებისა და ყოველგვარი დაბრემირების ჩატარებისათვის.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ხეტყის დამზადებელ ორგანიზაციებთან ერთად, ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტის გარდა, გამოაკოს ხუთი დღის ვადაზე რაიონები მუშა-ძალის მოგროვებისათვის.

9. ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ხეტყის დამზადებისათვის ხელშეკრულებების დადებისა და მუშა-ძალის მოგროვების მასსური კამპანიის ჩატარებას; ეს კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს იმ მიმართებით, რომ კოლმეურნეთა მასსებს განემარტოს გარე-სამუშაოზე გასულ კოლმეურნეთათვის დაწესებული შეღავათები, კერძოდ — დამატებითი შეღავათები ხეტყის დამზადებაზე და გამოტანაზე გასულთათვის.

10, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზედაც სწარმოვებს მუშა-ძალის მოგროვება რამდენიმე სამეურნეო ორგანიზაციისათვის, აღკვეთონ მუშების ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე გადაბირება სამუშაო ხელფასის გადიდებით და მეტი საქონლის მიცემით.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაარწესონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამეურნეო ორგანოებისათვის სადეკადო ანგარიშგება მუშა-ძალის მოგროვების მსვლელობისა და ხელფასის დამზადების და გამოზიდვის საწარმოო დაკალებათა აღსრულების შესახებ.

12. დაეკალოს „სოიუზპრომკორმ"-ის ამიერკავკასიის კონტორას—დააკმაყოფილოს შეშა-ხელფასის დამზადებისა და გამოზიდვის საჭიროებანი მოცულობითი და მარცვლეული ფურაჟით შემდეგი რაოდენობით: 1932 წ. იანვრის 1-დე—6.000 ტონნა და 1932 წ. 1-ლ კვარტალში—2.000 ტონნა.

13. წინადადება მიეცეს „ზაკნაბსბიტ"-ს—უზრუნველჰყოს ა/წ. დეკემბრის 1-დე ხელფასის დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივების საჭიროებანი ზამთრის სპეციტანისამოსით და ფეხსაცმლით.

14. დაეკალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და „სოიუზკოჟა"-ს—გამოჰყონ ერთი დეკადის ვადაზე შინა-სარეწაო კოოპერაციისათვის მოუქნელი ტყავეულობის საჭირო რაოდენობა ქალამნების დასამზადებლად, და დაავალონ სარეწაო კოოპერაციას დამზადოს უმოკლეს ხანში ეს ქალამნები და გადასცეს ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს ხელფასის დამზადებელ ორგანიზაციებს შორის გასანაწილებლად.

15. მიენდოს ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტს—აღძრას „ბლავლესპრომ"-ის წინაშე საკითხი ფონდების გამოყოფის შესახებ—შეშა-ხელფასის დამზადებისა და გამოზიდვის მავთულით, ხარისხოვანი რკინით, საფოლადო საინსტრუმენტო მასალით, სამთო-საგზაო ინსტრუმენტებით და მისთან. უზრუნველსაყოფად.

16. წინადადება მიეცეს „ავტორეფმნაბ"-ს—უზრუნველჰყოს სატყეო მრეწველობის ავტოტრანსპორტი სატვირთო-საავტომობილო სალტეებით, კამერებით, საბურებით, ავტო-ნაწილებით და ინსტრუმენტებით.

17. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატსა და ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—უზრუნველჰკონ 1931 წ. ნოემბრის 11-დე სატყეო მრეწველობის მომარაგება მე-IV კვარტალის გეგმაში გათვალისწინებული სასურსათო და სამრეწველო საქონლით; ამაე დროს აღიძრას შუამდგომლობა სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის წინაშე—დაარქაროს ცენტრალიზებული ფონდის სამრეწველო და სასურსათო საქონლის მოზიდვა შეშა-ხელფასის დამმზადებელი ორგანიზაციებისათვის.

18. წინადადება მიეცეს ა/კ. სავაჭრო ტრესტს—გამოჰყოს არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 1-ს 600.000 მანეთის კომერციული ფართლეული სატყეო მრეწველობის მუშათა საჭიროებისათვის.

19. წინადადება მიეცეს შუშა-ხეტყის დამმზადებელ ორგანიზაციებს—წარუდგინონ ხოლმე სისტემატიურად, ყოველ 5 დღეში, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას განცხადებები ხეტყის მასალისა და შეშის გამოსაზიდად საჭირო რაოდენობის მოძრაკი ზედგენილობის (ვაგონები და ბაქნები) თაობაზე, და ზედმიწევნით აღნიშნონ ამ ვაგონებისა და პლატფორმების რაოდენობა და მისაყენებელი პუნქტები.

დაეკალოს ა/კ. რკინის გზების დირექციას რეალურად და პირველრიგობის წესით უზრუნველჰყოს სატყეო მრეწველობის მოთხოვნილებანი სატრანსპორტო საშუალებებისადმი, კერძოდ—ყოველდღიურად არა ნაკლებ, ვიდრე 50 ვაგონის მიყენება შეშის გადასაზიდად.

20. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შინაგანი რესსურსების მობილიზაციის წესით, გამოსძებნოს ფოთის რაიონისათვის 4 მამოძრავებელი-ორთქლმავალი („კუკუშკები") და აგრეთვე მოძრავი შედგენილობა 40 ბაქნის რაოდენობით.

21. აღინიშნოს არადამაკმაყოფილებელი გაშლა სატყეო კოოპერაციისა და არა საკმარისი ყურადღება სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მხრით თავისი სატყეო სექციისადმი და საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა სატყეო კოოპერაციის საარაიონო და ქვედა ორგანიზაციების მომუშავეებით დაკომპლექტება დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 15-სა;

ბ) რათა დაეკალოს ა/კ. საზოგადოებრივი კვების ტრესტს, პროფესიონალურ კავშირებთან ერთად, გახსნას, არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 15-სა, მუშათა კოოპერატივები და სასადილოები ყველა სატყეო სამრეწველო მეურნეობასთან; ხოლო ამ უკანასკნელთ—მიუჩინონ საცხოვრებელი სადგომები და გაწყობილობა მუშათა კოოპერატივებისა და სასადილოების გასახსნელად.

22. ხეტყის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ფარფოოდ უნდა ჩაებაბ ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის საქმეში ცალკეული თვითდამზადებლები მათი ყოველგვარი შინაგანი რესსურსების მაქსიმალური მობილიზაციის წესით, სახელდობრ: საკუთარი ქარავნისა, ავტოტრანსპორტისა, ტყის საპრელი ინსტრუმენტებისა, სასაწყობო სადგომებისა და სხვა მატერიალური და ტეხნიკური რესსურსებისა.

23. დამყარებულ იქნეს რაიონების მასალისადმი შეშისადმი და ხეტყის მოთხოვნილების (ადგილობრივი) დაკმაყოფილების წესი უწყებული რაიონში ხეტყის დამზადების პროგრამის შესრულების ოდენობასთან შესაბამისად.

24. დაეკალოს ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტს—უზრუნველჰყოს სატრანსპორტო ნაგებობათა მშენებლობის პროგრამის საესებით შესრულება გადაჭრით დადგენილ ვადებზე (ხეტყის ჩასაშვები, ღარები, დეკოვილები, ხეტყის საზიდი გზები და სხვ.).

25. აღინიშნოს, რომ სატყეო მრეწველობის ორგანოებმა (ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტი და მისი ადგილობრივი ორგანოები) ჯერ კიდევ აქამდე ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და რომ მათ ხელმძღვანელობას აქვს საერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტიული და არა ოპერატიული ხასიათი; ამის გამო წინადადება მიეცეს ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტს—20 დღის ვადაზე მოახერხოს მუშაობის გარდაქმნაში ძირითადი გარდატეხის მოხდენა, სათანადო სიმაღლეზე დააყენოს თვითეული სატყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის ცალკეულად კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა და ყოველდღე გამოასწოროს ხოლმე მათი ნაკლოვანებები, რაც შეეჩნეულ იქნება ხეტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

26. დაევალოს ყველა ხეტყის დამმზადებელ ორგანიზაციას და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს—მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება და ძალა სატყეო მრეწველობის შინაგანი რესურსების მობილიზაციას, ხელთმყოფი მუშა-ძალის წესიერად გამოყენებას და მუშათა მოგროვების ორგანიზაციას, თანაც განახორციელოს სამექანიზაციო ღონისძიებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. **გ. ვეზიროვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 16.
№ 417.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 294 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ

1931 წ. მე-IV კვარტალისათვის მუშა-ძალის მოგროვების გეგმა.

№№ რიგზე	სატყეო-სამრეწველო მეურნეობა	საჭიროა მოგროვდეს: მეჩეხილი	ბანბიზა-ველი	წესული ჩა-ბეჭდილებ.	სულ	მოგროვების რაიონი
1	სვანეთისა	800	150	420	1.370	1. ცაგერისა. 2. ზემო-სვანეთისა. 3. წალენჯიხისა. 4. ჩხორწყუსის,
2	ფოთისა	1.493	330	88	1.911	1. სენაკისა. 2. ხოფისა და ზონისა. 3. ლანჩხუთისა. 4. მარტვილისა.
3	ოზურგეთისა	101	306	22	429	1. ოზურგეთისა.
4	ზუგდიდისა	198	59	104	362	1. ზუგდიდისა. 2. მარტვილისა. 3. წალენჯიხისა. 4. ჩხორწყუსის.
5	ამბროლაურისა	98	21	35	154	1. ამბროლაურისა. 2. ონისა.
6	ქუთაისისა	15	81	—	126	1. ქუთაისისა.
7	ხარაგოულისა	146	252	40	438	1. ხარაგოულისა:
8	გორისა	54	108	—	162	1. გორისა.
9	ტფილისისა	134	127	390	651	1. მცხეთისა. 2. დუშეთისა.
10	ბორჩალოს	65	124	—	189	1. ბორჩალოს.
11	თელავისა	56	229	—	285	1. თელავისა.
12	გურჯაანისა	57	39	—	96	1. გურჯაანისა.
13	კოდორისა	600	110	600	1.310	1. ლეჩხუმისა. 2. ამბროლაურისა. 3. ხონისა.
14	გაგრისა	229	84	70	383	1. გაგრისა. 2. მარტვილისა. 3. გალისა.
15	აჭარისტანისა	235	181	160	576	1. აჭარისტანისა,
16	სამხრეთ-ოსეთისა	236	107	28	371	1. სამხრეთ-ოსეთისა.
17	ბელაქნისა	188	204	—	392	1. ბელაქნისა. 2. კახეთისა.
18	ლენკორანისა	316	478	—	794	1. ლენკორანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	სატყეო-სამრეწველო მეურნეობა	საბჭოთა მოგროვდეს				მოგროვების რაიონი
		მწვანე	ბამბუზი-ანი	ნაწილი ნაშეშალ.	სულ	
19	თაუზისა	156	64	—	220	მანგლის-თაუზისა.
20	ყუბისა	66	85	—	151	ყუბისა.
21	ქურთისტანისა	30	12	—	42	ქურთისტანისა.
22	ოჯევანისა	146	134	—	280	ოჯევანისა.
23	ყარაქლისისა	47	55	—	102	დელიჯანისა. ალავერდისა. სადახლოს.
24	ერივანისა	24	—	—	24	ერივანისა.
25	ზანგეზურისა	49	127	—	176	ზანგეზურისა.
	ჯამი . . .	5.570	3.467	1.957	10.994	

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

239. 1931 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

აღინიშნოს შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის აშკარა არადამაკმაყოფილებელი მსვლელობა.

დაინტერესებული საბჭოთა და საკოლმეურნ.-საკოოპ. ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია ის, რომ კამპანიის ჩატარებისათვის აუცილებელი მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების განხორციელების ვადები ჩაიშალა (სათესლე ფონდების შეგროვება დამთავრებულ უნდა ყოფილიყო ყველგან ოქტომბრის 1-თვის, ხოლო ოქტომბრის 10-თვის შესრულებულია გეგმის მარტო 18%-ი; სადამზღვევო ფონდების შეგროვება შესრულებულია მხოლოდ 10%-ით). სერიოზულ საფრთხეშია და ჩაშლა მოელის ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების აღსრულებას, როგორიც არის მარცვლეულის გაწმენდა და დაწამლვა (ოქტომბრის 1-თვის მარცვლეულის გაწმენდა განხორციელებულია მხოლოდ 7%-ით).

შემოდგომის ხვნა მიმდინარეობს შეუწყნარებელი მინელებული ტემპით (ოქტომბრის 10-თვის 23%), განსაკუთრებით აზერბაიჯანის სსრ-ში და საქართველოს სსრ-ში.

დიდი ჩამორჩენა ეტყობა ზამთრისპირულ ხვნას (ოქტომბრის 10-თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 5%-ით).

შემოდგომის თესვა ყველგან მეტის-მეტად მძიმედ იშლება. თუმცა მთიან ადგილებში თესვის ვადები უკვე გავიდა, ხოლო მთის ძირის ადგილებში თეს-

ვის ვადა უკვე მოახლოვებულია, მაინც თესვის გეგმის შესრულება აზერბაიჯანის სსრ-ში უდრის 1,3%-ს, საქართველოს სსრ-ში—2%-ს და სომხეთის სსრ-ში—11%-ს. მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელია კამპანიის მსვლელობა თთელ რიგ საბჭოთა მეურნეობების შენაერთებში (ზამთრისპირული ხვნის გეგმის შესრულება „სკოტ ოვოდ"-ში სექტემბრის 20-თვის უდრის 1,7%-ს, ა/კ. საბჭოთა საბამბე მეურნეობებში—9,8%-ს; „საქართველოს ჩაი"-ს საბჭოთა მეურნეობებში ნიადაგის მომზადება მე-3 კვარტალისათვის შესრულებულია 25,8%-ით; ახალი ხრალეუფლი კულტურების ტრესტის რამის პლანტაციების საშემოდგომო ჩაყრა შესრულებულია 13,9%-ით და სხვ.).

აგრეთვე არადამაკმაყოფილებად მიმდინარეობს სასილოსო მშენებლობა. სრულიად მოგვარებული არ არის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის ოპერატიული აღნუსხვა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ არ არსებობს ცნობები, რა მდგომარეობაშია მუშაობა ა/კსფსრ-ის თთელ რიგ რაიონებში.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა თთელ რიგ რაიონებში ფართო პოლიტიკურ-განმარტებითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მოსაშზადებლად, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა ძირითადი მასსა სოფლიზ სუსტად იქნა მობილიზებული სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საბრძოლო საკითხების გარშემო.

შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულების ტემპების გასაძლიერებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წოდდება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილ იბაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიუნიშნონ ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს შეუწყნარებელი მინელებული ტემპებით შემოდგომის თესვის ჩატარება, ძირითად ღონისძიებათა დადგენილ ვადაზე შეუსრულებლობა და თესვის კამპანიის საერთო-საორგანიზაციო მომზადების სისუსტე; თანაც დაავალონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ, მათი პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ გარდაქმნან და მაქსიმალურად გააძლიერონ თესვის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, თავიანთ სასტიკ კონტროლ ქვეშ დაყენონ სამუშაოთა ცალკეული ნაწილები, უზრუნველჰყონ სათანადო ყურადღებით შემოდგომის თესვისათვის წარმოებული მუშაობა და ყველა ძალა და სახსარი წარმართონ რაიონებში გამოაშკარავებულ გარღვეულობათა ლიკვიდაციისათვის. კერძოდ—დაუყოვნებლივ შეამოწმონ და დაიჩქარონ მუშაობა თესვის გეგმების კოლმეურნეობამდე და კომლამდე მისაწვდენად, კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისათვის, მტკიცე დავალებების მისაცემად, საშემოდგომო ნათესვებისა, ბამბისა და თამბაქოსათვის მიწების გამოსაყოფად და იმ ძირითად აგრო-ღონისძიებათა შესასრულებლად, რაც უზრუნველჰყოფს კარგ მოსავლიანობას, სახელდობრ: ჯიშიანი თესლეულის მიწოდება, თესლის გაწმენდა და დაწამლვა, მწკრივად თესვა, ზამთრისპირული ხვნა და მისთან. ამავე დროს სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მოაგვარონ საშემოდგომო თესვის ყველა ღონისძიების აღნუსხვა და რიგზე და თავის დროზე შედგენა და დაგზავნა დაწესებული სადეკადო და სანამეკადო ჯუმლებისა სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაავალონ რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და საკოლმეურნეო ცენტრებს, აგრეთვე სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებსა და სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებს:

ა) იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიებანი სათესლე, სადამზღვევო და საფურაჟე ფონდების შეგროვებისა და თესლის გაწმენდისათვის და არც ერთ სოფელში არ დაათესინონ გაუწმენდავი თესლი;

ბ) გამოარკვიონ განსაკუთრებით ჩამორჩენილი რაიონები და წარგზავნონ იქ პასუხისმგებელი მომუშავენი ამ საქმის ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის; თანაც მოსპონ ამ ღონისძიებათა განხორციელების დამაბრკოლებელი მიზეზები და პასუხისგებაში მისცენ ძირითად ღონისძიებათა ჩაშლაში დამნაშავე პირნი.

3. დაეკალოს სოფლისა და ტყის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორას, ამხ. ჟღენტის პირადი პასუხისმგებლობით—ყოველი ღონისძიებით დააჩქაროს სათესლე მასალის დაწმენდის მუშაობა და უზრუნველჰყოს ყველა პუნქტი საკმარისი რაოდენობის ტეხნიკური პერსონალით, დამწმენდელებით და შხამებით.

4. რადგანაც საშემოდგომო და ზამთრისპირული ხვნის სუსტად მიმდინარეობის ძირითადი მიზეზი მექანიკური და ცოცხალი საწევი ძალის არაგეგმიანი გამოყენებაა და ძალთა განწესების არასაკმარისი საზრიანობა, ამიტომ წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს და ა/კ. ტრაქტორცენტრს—გადასინჯონ უმოკლეს ხანში თავიანთი ხელმძღვანელობა ამ უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებათა სფეროში და მოახერხონ როგორც მექანიკური, ისე ქვედა საწევი ძალის მაქსიმალური და თანაბარი გამოყენება ადგილებზე, გაამლიერონ მუშაობა მთელი სტრატეტორო პარკის მოწესრიგებისათვის, ტრაქტორების ძირითადი მასსის ზამთრისპირულ ხვნაზე წარგზავნისათვის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოყენებაში გაუპიროვნების დაუყოვნებელი ლიკვიდაციისათვის.

5. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მიანდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იხმაროს ღონისძიება, რათა დაუყოვნებელივ მიწვდენილ იქნეს რაიონებამდე ძირითადი გეზნი საშემოდგომო ნათესების კონტრაქტაციისა.

6. დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის განკარგულება რესპუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და კოოპერატიული საკოლმეურნეო ორგანიზაციებისადმი—საშემოდგომო ნათესების საწარმოო კონტრაქტაციის ჩატარების ტემპების გაძლიერების შესახებ ისეთი ვარაუდით, რომ იგი დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ოქტომბრის დამლევისა.

7. წინადადება მიეცეს „სოიუზსემენოვოდ"-ის ამიერკავკასიის კანტორას, ამხ. ნაგიევის პირადი პასუხისმგებლობით, იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიება, რათა დაუყოვნებლივ წარიგზავნოს რაიონებში ჯიშიანი თესლი, სასესხო თესლეულობა და სათეს ბალახთა თესლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალოს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ დაამთავრონ ბამბისა და საშემოდგომო ნათესებისათვის მიწების გამოსაყოფად წარმოებული მუშაობა და გამოარკვიონ ამ საქმის დამბრკოლებელნი და დაადგენ გადასახდელი.

9. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს—იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიება ნაკრობითობის შემოსაღებად და გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ყველა სამუშაოზე, მოგვაროს სარემონტო სამუშაოები, უზრუნველჰყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურები საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაწილებით და დაავალოს ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურს—მიიღოს მსურველე მონაწილეობა საშემოდგომო და ზამთრისპირული ხვნის სამუშაობის ცხენის საწვავი ძალით ჩატარების საქმეში; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მწკრივად თესვის გეგმის შესრულებას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისათვის და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებისათვის თავის დროზე და წესიერად სადეკადო ცნობების მიწოდებას საშემოდგომო თესვის მსვლელობის შესახებ.

10. წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—ყოველი ღონისძიებით დაიჩქაროს ნაკრობითობის შემოღება და მოაგვაროს ყველა კოლექტიური მეურნეობისათვის, რეგულიაური ჩანაწერების შეტანა შრომის წიგნაკებში; თანაც სათანადო გადასახდელი დაადვას შრომის უხეირო მეალნუსხეთ.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს—მოაგვაროს შემოდგომის თესვის კამპანიის ოპერატიული აღნუსხვის საქმის დაყენება და იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიება ამ საქმეში შემჩნეულ ნაკლოვანებათა ასაცილებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმსრ. **გ. ვეზიროვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 21.

№ 418.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 296 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

240. ა/კსფსრ-ში საფოსტო მემტრედეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის „ავიაქიმის“ დამხმარე საზოგადოებას აწარმოოს საფოსტო მტრედების რეგისტრაცია, მათი მოშენება, წრთვნა და ჯიშის გაუმჯობესება.

2. დაეავალოს საფოსტო მტრედების ყველა პატრონს დაარეგისტროს თავისი მტრედები „ავიაქიმის“ დამხმარე საზოგადოების იმ სარაიონო ორგანიზაციაში, რომლის წრეშიაც მას „ავიაქიმის“ დამხმარე სრულიად საკავშირო საზოგადოების წრე მოაქცევს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. **გ. ვეზიროვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 21.

423.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

241. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ამიერკავკასიის ქიმიზაციის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მოეწყოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ამიერკავკასიის ქიმიზაციის კომიტეტი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვ. აღმს. **გ. ვეზიროვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ოქტომბრის 26.

424.

ტფილისი.

მთავლიტი 94. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400.